პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

11 ივნისი პარასკევი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 132 (15042)

საკლესიო ცნობა

მიფრინავს «სალუტი»

ფრენის მართვის ცენტრი, 10 ივნისი. 10 ივნისს ღამის პირველ საათზე დაიწყო ორბიტულ სამეცნიერო სადგურ „სალუტის“ ეკიპაჟის მეოთხე სამუშაო დღე. დაესვენების შემდეგ კოსმონავტებმა სპეციალური მოწყობილობის გამოყენებით ჩაატარეს ფიზიკური ვარჯიშის კომპლექსი.

მეოთხე სამუშაო დღის პროგრამის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ სამედიცინო-ბიოლოგიური ექსპერიმენტები.

სადგურის მეთაურის მოხსენების თანახმად, კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ, ჩინებულ გუნებაზე არიან.

ფრენის მართვის ცენტრი, 10 ივნისი. ორბიტული სამეცნიერო სადგურის „სალუტის“ ეკიპაჟის მეოთხე სამუშაო დღის პროგრამის ძირითადი ნაწილი დაეთმო სამედიცინო-ბიოლოგიურ კვლევას. ერთერთი დღევანდელი ექსპერიმენტი მიზნად ისახავდა სამეცნიერო ინფორმაციის მიღებას უწონობის პირობებში გულსისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური მდგომარეობის შესახებ.

კვლევა მიმდინარეობდა სპეციალური მრავალარხიანი გამაძლიერებელ-გარდამქმნელი მოწყობილობის დახმარებით და ფუნქციური სინჯების გამოყენებით. ექსპერიმენტის დროს ფიზიოლოგიურ პარამეტრებს იწერდნენ ტელემეტრიული არხით.

ადამიანის ორგანიზმზე უწონობის პირობების გავლენის შესაფასებლად მოეწყო ძვლის ქსოვილების სიმკვრივის განსაზღვრის ექსპერიმენტი.

ეკიპაჟის ყველა წევრს მიკროანალიზატორების საშუალებით აუღეს სისხლი დედამიწაზე შემდგომი ლაბორატორიული კვლევისათვის.

სადგურთან კავშირგაბმულობის ერთერთი სეანსის დროს მოეწყო სატელევიზიო რეპორტაჟი, რომლის დროს ეკიპაჟის წევრები ტელემაყურებლებს ესაუბრნენ თავიანთ თავსა და ამხანაგებზე, აგრეთვე ფრენის მიზნებსა და ამოცანებზე.

ორბიტული სამეცნიერო სადგურის „სალუტის“ საბორტო სისტემები და სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს. კოსმონავტები — ამხანაგები დობროვოლსკი, ვოლკოვი და პაცაევი თავს კარგად გრძნობენ. 14 საათსა და 40 წუთზე მოსკოვის დროით სამეცნიერო სადგური გასცდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან რადიოხილვადობის ზონას.

სადგური „სალუტი“ ფრენას განაგრძობს.

არჩევნებამდე დარჩა ორი დღე

ახალგაზრდა კომუნისტთა შეკრება

ქუთაისი. (საკ. კორ.). აქ გაიმართა ახალგაზრდა ამომრჩეველთა საქალაქო შეკრება. ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, რომლებიც წელს პირველად მიიღებენ მონაწილეობას არჩევნებში, სიტყვით მიმართა კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. ომელაძემ.

შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ № 8 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ლ. ნიშნიანიძე, ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ა. ბესელია, ახალგაზრდა ამომრჩეველები ლ. ჩირგაძე, ლ. ხუნდაძე, ნ. ზივზივაძე და სხვები.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა ქ. ქუთაისის ყველა ახალგაზრდა ამომრჩევლისადმი.

ახალ საარჩევნო უბანში

ცხინვალი. (საკ. კორ.). იზრდება, ფართოვდება და ლამაზდება სამხრეთ ოსეთის საოლქო ცენტრი — ქ. ცხინვალი. ახლანდელ არჩევნებში ქალაქში გამოჩნდა ახალი საარჩევნო უბანი. ეს უბანი მოიცავს ლუდის ქარხნის რაიონს, სადაც უკანასკნელ წლებში გაშენდა საცხოვრებელი მასივი. აქ ცხოვრობენ ცხინვალის ქარხანა „ემალსადენის“, „ვიბრომანქანის“ მუშები. საუბნო საარჩევნო კომისია მოითხოვებულია სამხრეთ ოსეთის საოლქო სამომხმარებლო კოოპერაციის დამზადების კანტორის შენობაში. აქვეა მოწყობილი ხმის მისაცემი კაბინები, ოთახები თვითმოქმედი წრეებისათვის. საარჩევნო უბანი სანამუშოდ გაუფორმებიათ.

აქვეა ამომრჩეველთა კლუბი, სადაც 18 აგიტატორი ეწევა საგიტაციო მუშაობას. ისინი ხშირად იმყოფებიან ამომრჩეველთა ბინებზე და ესაუბრებიან ამომრჩევლებს მათთვის საინტერესო საკითხებზე.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ა. გაბარაევი აგიტატორებთან ერთად გულმოდგინედ ემზადებოდა არჩევნების დღისათვის. ახლა საარჩევნო უბანი მზად არის ამომრჩეველთა მისაღებად.



ხალხის კანდიდატები

ქართველ ფეიქართა ოჯახში დაიბადა ესმა ბოჭორიძე. მან ტრადიციას არ უღალატა და წინაპართა გზას გაჰყვა, 16 წლისამ შეიღო თელავის აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკის კარი, და აი უკვე 25 წელია ერთგულად შრომობს საამქროს საკვირველ-ოდ.

სახელოვანი ფეიქრის შრომა დაფასა საბჭოთა მთავრობამ, სამი წლის წინათ ლენინის ორდენით დაჯილდოდა.

თელავის აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხი და წინდების საქსოვი ფაბრიკების მუშებმა და მოსამსახურეებმა თავიანთი ღირსეული ამხანაგი ერთსულოვნად წამოაყენეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. (სსმ. კორ.).

სურათზე: (მარცხნივ) ესმა ბოჭორიძე დაზგასთან.

ფოტო ა. ბროდსკისა.

ბორის მაშაკიძე ერთი იმათგანია, ვინც ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მრავალათასიან კოლექტივში აღიზარდა და დავაჟკაცდა. როგორც მოწინავე მძღოლმა გამომცდელმა, ამ ოცი წლის წინათ მან გადმოიყვანა კონვეიერიდან პირველი ქართული ავტომობილი.

სახელოვანი ავტომშენებლის მიერ აწყობილი და გამოცდილი მანქანები ყოველთვის უდაფეიქტოდ ბარდება.

ბედნიერად დაებედა 1971 წელი ბ. მაშაკიძეს. ჯერ იყო და სკკპ XXIV ყრილობის დელეგატად აირჩიეს, მერე, ყრილობის მუშაობის დღეებში სოციალისტური შრომის გმირის სატიტო წოდება მიანიჭეს, ბოლოდ თანამოსაქმეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს. (სსმ. კორ.).

სურათზე: ბორის მაშაკიძე.

ფოტო ვ. ბორგუნოვისა

მისალმებანი „სალუტ“ ორბიტული სამეცნიერო სადგურიდან

ამერიკის კონტინენტის ხალხებს

„სალუტ“ პილოტირებული ორბიტული სამეცნიერო სადგურიდან ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ხალხებს.

კოსმონავტები დობროვოლსკი, ვოლკოვი, პაცაევი.

ინდოჩინეთის ხალხებს

მებრძოლებს მივესალმებით გმირ ვიეტნამელ ხალხს, ლაოსისა და კამბოჯის მამაც პატრიოტებს და მხურვალედ ვუსურვებთ წარმატებებს იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ, თავიანთი ქვეყნების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

კოსმონავტები დობროვოლსკი, ვოლკოვი, პაცაევი.

აზიის ხალხებს

წარმატებებს ვუსურვებთ აზიის ხალხებს ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კოსმონავტები დობროვოლსკი, ვოლკოვი, პაცაევი.

აფრიკის ხალხებს

„სალუტ“ პილოტირებული ორბიტული სადგურიდან წარმატებებს ვუსურვებთ აფრიკის ხალხებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

კოსმონავტები დობროვოლსკი, ვოლკოვი, პაცაევი.

ლენინური პარტიის საქმე ხალხის საქმეა

ამომრჩეველთა შეხვედრა ნ. ვ. პოდგორნისთან

10 ივნისს სსრ კავშირის დიდ თეატრში მოსკოვის ლენინგრადის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლები შეხვდნენ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს ამ ოლქში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის ღირსეულ კანდიდატს ნ. ვ. პოდგორნინს.

შემდეგ გამოვიდნენ ნდობით აღჭურვილი პირი — ქარხანა „იზოლატორის“ ზეინკალი ი. ვ. ბორისოვი, საბჭოთა კავშირის მეცნიერული და ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ა. ი. მესაროვი, № 691 სკოლის დირექტორი ე. ა. ძრაბიონოვა, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ტექნიკოსი ფ. ნ. კორნეევი. მათ თქვეს, რომ ლენინგრადის რაიონის მშრომელები მოსკოვის ყველა მშრომელთან ერთად აქტიურად ჩაებნენ ბრძოლაში სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. მისცემენ რა ხმას კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატს, ამით საბჭოთა ადამიანები ხმას მისცემენ ჩვენი სამშობლოს ნათელ მომავალს, მშვიდობას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნულ ლენინურ პოლიტიკას.

სიტყვა წარმოთქვა ნ. ვ. პოდგორნინმ, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

ნ. ვ. პოდგორნინმ გულითადი მადლობა გადაუხადა დედაქალაქის ლენინგრადის რაიონის ამომრჩევლებს დეპუტატობის კანდიდატად მისი დასახელებისათვის და თქვა, რომ მათს გულთბილ გრძნობებსა და სურვილებს მიაკუთვნებს დიად კომუნისტურ პარტიას. მთელ ჩვენს ქვეყანაში საბჭოებში დასახელებულია კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის ორ მილიონზე მეტი კანდიდატი, მათ შორის ცხრაასი ათასზე მეტს პარტიის წევრები შეადგენენ. და ყოველ კანდიდატს, ყოველ ჩვენგანს — კომუნისტს კარგად ესმის, ხაზი გაუსვა ნ. ვ. პოდგორნინმ, რომ ნდობით, რომელსაც მას უცხადებენ, კეთილი სიტყვებით, რომელსაც მის შესახებ ამბობენ, ვლინდება, უწინარეს ყოვლისა ის უდიდესი ნდობა, რომელითაც საბჭოთა ადამიანებში სარგებლობს კომუნისტთა პარტია, ლენინის პარტია.

ოთხი წელი, რაც გვაშორებს რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს წარსული არჩევნებიდან, თითქმის ემთხვევა პარტიის ყრილობებსშუა პერიოდს. ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, XXIV ყრილობის რეზოლუციასა და სხვა დოკუმენტებში კონცენტრირებულად არის ნაჩვენები პარტიის, მთელი ჩვენი ხალხის უდიდესი აღმშენებლობითი მუშაობის შედეგები, ის დიდი დადებითი ძვრები, რომლებიც მოხდა საბჭოთა საზოგადოებაში, ქვეყნის ეკონომიკაში, მშრომელთა მატერიალური და კულტურული ცხოვრების პირობებში.

ნ. ვ. პოდგორნინი შეეხო იმ დიდ მუშაობას, რომელიც მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით გასწიეს დედაქალაქის, მისი ლენინგრადის რაიონის მშრომელებმა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა მთავარი ყურადღება დაეთმოს იმას, რაც ჯერ კიდევ არ გაკეთებულა, მომწიფებულ პრობლემებს. XXIV ყრილობამ განსაზღვრა დიადი მიზნები, წამოაყენა დიდი, რთული ამოცანები, მეცნიერული სიზუსტით დასახა მათი გადაწყვეტის გზები და საშუალებანი. ახლა პარტია მთელ თავის ძალღონეს ახმარს ხალხის კეთილდღეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების მიღწევას. საქმე ეხება სოციალური ღონისძიებათა ფართო პროგრამას, რომლის ცენტრშია ადამიანი, მისი საქმეები, მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი.

ეს პროგრამა შეიცავს საბჭოთა ადამიანების შრომითი შემოსავლის, დოვლათის გადიდებას, რომლებსაც ისინი იღებენ საზოგადოებრივი ფონდებიდან, მასობრივი მოთხოვნილების საქონლის გამოშვების მნიშვნელოვან ზრდას, სამინაო მშენებლობის გაფართოებას, მომსახურების მთელი სფეროს ძირეულ გაუმჯობესებას, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების განვითარებას. იგი აღფრთოვანებით აღიქვა ყველა საბჭოთა ადამიანმა. ახლა, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, საქმის ღერძი, არსი პრაქტიკული მუშაობა დასახული პროგრამის რეალიზაციისათვის. ყველაფერს წყვეტს მილიონთა შემოქმედებითი შრომა, პარტიის, სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიზანდასახული ორგანიზატორული მუშაობა.

პირველ პლანზე დგება თვითეული ადამიანის ინიციატივიანი შრომა, რომელიც შეიცავს წარმოების, მისი ზრდის ტემპების გადიდების რეზერვების შემოქმედებით ძიებას. სწორედ ამ პოზიციებიდან უდგება ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას მილიონობით საბჭოთა ადამიანი. ამას მოწმობს ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის შეჯიბრების გაქანება, პროდუქციის ზეგეგმითი გამოშვების ის ვალდებულებანი, რომლებსაც კისრულობენ ქალაქების, მხარეების, ოლქების, რესპუბლიკების საწარმო კოლექტივები, მშრომელები. უკვე არის პირველი შედეგებიც — ქვეყნის მრეწველობამ შეასრულა ხუთი თვის საგეგმო დავალებანი; ეს დავალებანი შეასრულეს ლენინგრადის რაიონისა და მთელი ჩვენი დედაქალაქის მშრომელებმაც. საბჭოთა ადამიანს ესმის, რომ მის შრომაზე, პირად წვლილზე დამოკიდებულია ქვეყნის მომავალი, და მაშასადამე მისივე, მისი მახლობლების, მისი კოლექტივის კეთილდღეობაც.

ნ. ვ. პოდგორნინმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ შრომისადმი როგორც ცხოვრების მთავარი აზრისადმი, მაღალი საზოგადოებრივი მოვალეობისადმი დამოკიდებულება ახალი ადამიანის უმნიშვნელოვანესი ტიპიური თვისებაა. შრომისადმი ასეთი დამოკიდებულება იმასხარებს მორალურ და მატერიალურ წახალისებას, იმასხარებს იმას, რომ მასზე მთელი ხმით ლაპარაკობდეს ჩვენი პრესა, ლიტერატურა, ხელოვნება.

პარტია და სახელმწიფო მილიონობით მშრომელის შემოქმედებითს ენერგიას წარმართავენ ეკონომიკის საკვანძო პრობლემების გადაწყვეტისათვის, მეცნიერების, კულტურის, შემდგომი განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნისათვის, საზოგადოებრივი ცხოვრების უფრო მეტი გაკეთილშობილებისათვის. ახლა ყრილობის დირექტივების საფუძველზე სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სამინისტროებში, რესპუბლიკებში, საწარმოებში გაეშალა დიდი მუშაობა ხუთწლიანი გეგმის შესადგენად. მას განსახილველად წარმოადგენენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად. ხუთწლედი — საბჭოთა ხალხის მოქმედების პროგრამა — კანონის ძალას შეიძენს.

უკვე მიღებულია მთელი რიგი გადაწყვეტილებანი მუშათა, მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა პენსიით უზრუნველყოფას გაუმჯობესების, სოფლის მექანიზატორთა მატერიალური დაინტერესების ამაღლებისა და მათი შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ, დასახული სამრეწველო საფუძველზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების, მიწების მელიორაციის გაფართოების, რკინიგზის ტრანსპორტის განვითარების, მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის სისტემის სრულყოფის ღონისძიებანი. დიდი ყურადღება, თქვა ნ. ვ. პოდგორნინ, რომელსაც ახლა ვუთმობთ მართვის საკითხებს, — მოდისათვის ხარკის გადახდა, დროებითი გატაცება როდია. ეს არის ცხოვრების მოთხოვნა, რომელიც განუყრელად არის დაკავშირებული იმ ამოცანასთან, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგები.

ამ პირობებში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო-ორგანიზატორულ მუშაობას, მისი ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობის ამაღლებას. აღმშენებლობითი საქმიანობა, ქვეყნის მეურნეობის ხელმძღვანელობა ახასიათებს დღევანდელ ჩვენს საერთო-სახალხო სახელმწიფოს, რომელიც არის უმნიშვნელოვანესი მაორგანიზებელი ეკონომიური ძალა. სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის მართვა, უწინარეს ყოვლისა, ხორციელდება მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საშუალებით. ისინი გამახასიერებენ ქვეყნის ყველა სოციალური ჯგუფის, ყველა ერისა და ეროვნების ინტერესების ერ-

(დასასრული მე-2 გვ.).

ვ. პ. მჟავანაძეს გადასცა საპატიო ჯილდოები

ახალქალაქი, 10 ივნისი. (საქტისი). მერვე ხუთწლედის სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული მაღალი მოწყვეტებისათვის რაიონის მშრომელთა 65 წარმომადგენელს მიეკუთვნა მთავრობის ჯილდოები.

დღეს აქ გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ამ ჯილდოების — ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენების, მედლების „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“ გადაცემას.

ჯილდოების გადასაცემად აქ ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მჟავანაძე.

საზეიმო კრება გახსნა პარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველმა მდივანმა ს. პეტროსიანმა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების გამოსაქვეყნებლად მან სიტყვა მისცა ახალქალაქის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს უ. კაზარიანს.

ჯილდოები გადასცა ვ. მჟავანაძემ, რომელმაც გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ, უსურვა მათ შემდგომი შრომითი წარმატებანი, ჯანმრთელობა და ბედნიერება პირად ცხოვრებაში.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ — ახალქალაქის სატყეო მეურნეობის მთავარი მეტყევე ვ. ზედგენიძე, სოფელ დილისკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ჯრიგორიანი, ზაკვის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავი ა. ფარმანიანი. მათ მხურვალე მადლობა გადაუხადეს მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისაფვის და პირობა დადეს, რომ ყოველ უკეთ იშრომებენ, რათა ღირსეული წვლილი შეიტანონ ახალი, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა რეალიზაციის საქმეში.

ეძღვნება ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის 50 წლისთავს

მოსკოვი, 9 ივნისი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის დაარსების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. იგი მოაწყეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა საზოგადოებრივმა პარტიულმა სკოლამ და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ.

კონფერენცია გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა აკადემიკოსმა ბ. ნ. ფედოსეევმა. სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორის პირველმა მოადგილემ ბ. ა. როდიონოვმა გააკეთა მოხსენება „ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა მებრძოლი ავანგარდია“.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობს მოძმე ჩეხოსლოვაკიის მეცნიერთა დელეგაცია. (საკდესი).

ეს დღეები ჩაის პლანტაციებში

ღვინიაურლნენ

კოგულეთი. („კომუნისტის“ კორ.). რაიონის სოფლის მშრომელები შეუფერხებლად კრეფენ ჩაის ფოთოლს. უკვე მოიკრიფა 11.100 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული. რაც მაის-ივნისის გეგმის 85 პროცენტს შეადგენს.

— არ დაეუშვათ ფოთლის დანაკარგის არც ერთი შემთხვევა, მოკრეფილი ჩაის ნედლეული დროულად გადასამუშავებლად დროულად გადავზიდოთ ფაბრიკებში — ამ დევიზით მუშაობენ ჩაისუბნის კოლმეურნეობის წევრები. მათ მიერ მოკრეფილი ფოთოლი ძირითადად პირველი ხარისხისაა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ქვედა ულიანოვკის, ზედა აჭყვის, დაგვის, ქვედა აჭყვის, ბობოყვათის კოლმეურნეობები.

□

სახელოვანი მეჩაიე

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფელ ხვარბეთის კოლმეურნეობაში თავი ისახელა მოწინავე მკრეფველმა ე. დევაძემ. იგი სეზონის პირველი დღეებიდანვე ორმაგად ასრულებს დღიური კრეფის ნორმებს — საშუალოდ დღეში 50-60 კილოგრამ „მწვანე ოქროს“ აბარებს მიმღებ პუნქტს.

სახელოვან მეჩაიეს ე. დევაძეს გადაწყვეტილი აქვს მეცხრე ხუთწლედში მოკრიფოს 35 ტონა ჩაის ფოთოლი, ხოლო მიმდინარე წლის სეზონში წარმოებას ჩააბაროს 7 ტონა ჩაის ნედლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3,6 ტონისა.

სარისხოვანი ჩაის ფოთლის შესყიდვა

1971 წლის 7 ივნისისათვის (ყველა კატეგორიის მეურნეობაში)

(ტონობით)

	მაის-ივნისის გეგმა	ფაქტიური	პროცენტი
აფხაზეთის ასსრ	22205	19157	86
გურიის	11820	10235	87
ოჩამჩირის	7621	6604	87
გუდაუთის	1890	1509	80
გულრიფშის	660	610	92
სოხუმის	214	199	93
აჭარის ასსრ	18941	16858	89
ქობულეთის	13120	11103	85
ხელვაჩაურის	5505	5497	99,9
ქედის	316	258	82
მაზხარაძის	21414	17881	84
ზუგდიდის	15484	14252	92
ფალენჯიხის	7650	6400	84
მარტვილის	5809	6535	113
ლანჩხუთის	5778	5690	98
ჩხოროწყუს	5228	5059	97
ჩოხატაურის	3662	2989	82
წყალტუბოს	2908	3228	111
ცაგერის	2652	2865	108
ფოთელეთის	2560	2543	99,3
ტყიბულის საქალაქო			
საბჭო	2550	2741	107
სორის	2066	2072	100,3
სამტრედიის	714	661	93
აბაშის	316	358	113
თერჯოლის	255	378	148
ვანის	112	123	110
მიათურის საქალაქო			
საბჭო	102	184	180
ზესტაფონის	—	22	—
სულ	120406	109996	91
მათ შორის რაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტი	24457	22388	92
მილიონად რუსეთის ფედერაციაში 1970 წლის ამავე თარიღისათვის იყო	114750	121893	106

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

ლენინური პარტიის საქმე ხალხის საქმეა

(დასასრული).

თანამობას, აქ ხორციელდება სახელმწიფოებრივი საქმიანობა პარტიის ხელმძღვანელობით. ამიტომ პარტია თანმიმდევრულად ახორციელებს საბჭოების როლისა და ავტორიტეტის ამაღლების კურსს.

ამ ბოლო წლებში საბჭოების საქმიანობა უფრო აქტიური და მრავალფეროვანი გახდა, არსებითად გაფართოვდა საზოგადოებრივ წარმოებაზე, ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობაზე მათი ზემოქმედების შესაძლებლობანი, რომლებიც მათ ტერიტორიაზე მდებარეობენ.

ორატორმა აღნიშნა, თუ რა აქტიური მუშაობას ეწევიან რუსეთის ფედერაციის საბჭოები, შეიხო საკითხებს, რომლებსაც ისინი წყვეტენ და ხაზი გაუსვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახულ საბჭოების ინიციატივისა და დამოუკიდებლობის გაძლიერების ამოცანების. მათს მრავალფეროვან საქმიანობაში ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყრილობის მიერ დასახული ფართო სოციალური პროგრამის რეალიზაციას. ადგილობრივი საბჭოები განაგებენ რთულ სოციალურ-ეკონომიურ კომპლექსს — ვაჭრობის, ტრანსპორტის, კომუნალური მეურნეობის, კულტურისა და ყოფაცხოვრების ათასობით საწარმოსა და ორგანიზაციას. საბჭოებმა უნდა უზრუნველყონ მათი მწყობრი მუშაობა, მაქსიმალურად გამოიყენონ რეზერვები, რათა უფრო სრულად დააკმაყოფილონ მოსახლეობის მოთხოვნილებანი. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები კოორდინაციას უნდა უწევდნენ ყველა საწარმოსა და სამეურნეო ორგანიზაციის საქმიანობას მშრომელთა მომსახურების დარგში. უკანასკნელი წლების მანძილზე ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა. მაგრამ ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებანი და მოუწესრიგებლობა ქალაქებსა და სოფლების მცხოვრებთა მომსახურებაში.

ნ. ვ. პოდგორნი შეეხო ლენინგრადის რაიონული საბჭოს მუშაობას, მის ამოცანებსა და რაიონისა და ქალაქის გაფართოების პერსპექტივებს, ილაპარაკა მოსკოვის განვითარების გენერალურ გეგმაზე, რომელაც ახლახან დამტკიცდა. მთავარი ამოცანა, თქვა დეპუტატობის კანდიდატმა, — ის არის, რომ უზრუნველყოთ საბჭოთა ადამიანის შრომის, ყოფაცხოვრების, დასვენების, სულიერი ზრდის ყველაზე ხელშემწყობი პირობები.

ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის დასახულ პარტიის გეგმებში დიდი ადგილი უკავია წარმოების ზრდას დარგებში, რომლებიც მოსახლეობისათვის უშვებენ საჭონელს. დროული რეკონსტრუქციისა და ახალი ობიექტების ამოქმედებასთან ერთად ამ მიმართულებით ბევრ პასუხს აგებენ სამეურნეო ორგანოები, პარტია და სახელმწიფო მათ პირველ რიგში მომკითხავენ. ამასთან ამ საქმეში ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ ადგილობრივ საბჭოებსაც, თუ თავისებურ შეფობას იკისრებენ მსუბუქ, ქვებისა და მრეწველობის სხვა იმ დარგების მშენებლობისა და რეკონსტრუქციისადმი, რომლებიც მასობრივი მოთხოვნილების საქონელს უშვებენ.

საბჭოს შეუძლია არა მარტო გაუწიოს კონტროლი მშენებლობას თავისი აღმასკომის, მუდმივი კომისიების, დეპუტატთა საგუშაგოების საშუალებით, არამედ აქტიურ დახმარებასაც უწევდეს კიდეც მშენებლობებს შრომითი რესურსებით უზრუნველყოფაში, ადგილობრივი საშენი მასალებით დროულ მომარაგებაში, მშენებელთა ყოფა-ცხოვრებასა და დასვენების მოგვარებაში. თვითეული საბჭოს, თვითეული დეპუტატის, რომლებიც არჩეული იქნებიან მომავალ არჩევნებში, ამოცანა ის არის, რომ გააუმჯობესონ მუშაობა საზოგადოებრივი წარმოების ყველა უბანზე, შექმნან პირობები, რათა საბჭოთა ადამიანს შეეძლოს პროდუქტიულად იმუშაოს და სრულფასოვნად დაისვენოს, ისწავლოს და შვილები აღზარდოს, რათა განუწყვეტლივ იზრდებოდეს სახელმწიფო საქმეებში მისი მონაწილეობის შესაძლებლობანი, პასუხისმგებლობა საზოგადოების ბედისათვის.

სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ წარმატებებს, საზოგადოებრივი უთანიერთობის სრულყოფას პარტია მჭიდროდ უკავშირებს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებასა და კანონმდებლობის განვითარებას. ორატორმა დაახასიათა ამ ბოლო წლებში მიღებული მნიშვნელოვანი კანონები, აღნიშნა ინტენსიური საკანონმდებლო მუშაობა სსრ კავშირსა და მოკავშირე რესპუბლიკებში, კერძოდ რუსეთის ფედერაციაში. ამ ბოლო წლებში მიღებულია კანონები შრომის, ქორწინებისა და ოჯახის, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ და სხვები. აქტიური საკანონმდებლო საქმიანობა ახლაც გრძელდება.

მაგრამ რა კარგიც უნდა იყოს მიღებული კანონი, მთავარი ის არის, რომ იგი სრულდებოდეს, ხორციელდებოდეს. პარტიასა და სახელმწიფოს კანონების შესრულებისადმი კონტროლი მიაჩნიათ იმ დიდი მუშაობის განუყოფელ შემადგენელ ნაწილად, რომელიც წარმოებს, რათა სოციალისტური საზოგადოებას მართვის, მისი ეკონომიკისა და კულტურის ხელმძღვანელობის რთული მექანიზმი ზუსტად და ეფექტიანად მოქმედებდეს. კანონების შესრულებისათვის, სამეურნეო ხელშეკრულებების დაცვისათვის დიდი პასუხისმგებლობა აკისრია სამინისტროების, აღმასკომების, საწარმოების იურიდიულ სამსახურს. ამ ბოლო დროს განხორციელდა მისი განმტკიცების მთელი რიგი ღონისძიებანი. ამჟამად წარმოებისათვის, ჩვენი საზოგადოებისათვის იურისტს არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ინჟინერს, აგრონომს, ეკონომისტს. უეჭველია, კანონიერების განმტკიცებისათვის უფრო გულმოდგინედ უნდა იმუშაონ სასამართლოს, პროკურატურის, არბიტრაჟისა და ნოტარიატის ორგანოებმა, მილიციამ.

კანონიერების უზრუნველყოფა განუყოფელია აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობისადმი საბჭოების მუდმივი კონტროლისაგან. მხარი უნდა დავუჭიროთ და მოვიწონოთ უმაღლესი საბჭოების სესიებზე მინისტროთა საბჭოების, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელების ანგარიშებისა და მოხსენებების განხილვის პრაქტიკა, საბჭოების მუდმივ კომისიათა მუშაობის აქტივიზაცია. საბჭოების საქმიანობის გაუმჯობესება მჭიდროდ არის დაკავშირებული დეპუტატთა ავტორიტეტისა და აქტივობის ზრდასთან. თავის მხრივ ეს მოითხოვს დეპუტატის სტატუსის, მისი რწმუნებების შესახებ, დეპუტატის მიმართ, საბჭოსა და საარჩევნო ოლქში მისი საქმიანობის მიმართ თანამდებობის პირთა მოვალეობების შესახებ კანონმდებლობის სრულყოფას, ნ. ვ. პოდგორნიმ თქვა, რომ მუშაობა ამ მიმართულებით უკვე დაწყებულია.

სოციალისტურ საზოგადოებაში ცხოვრება, კანონის მოქმედება სწორედ ის არის, რომ მას გაუნურველად იცავდეს მილიონობით ადამიანი, რომლებსაც სწორად ესმით თავიანთი საზოგადოებრივი, მოქალაქეობრივი მოვალეობა. მოქალაქეობრივი მოვალეობის აღზრდა მეტად რთული საქმეა. ეს არის, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოების საკეთილდღეოდ თავისი შრომასათვის, სოციალისტური საერთო ცხოვრების კანონებისა და წესების დაცვისათვის თვითეული ადამიანის მაღალი პასუხისმგებლობის აღზრდა. ეს გულისხმობს საბჭოთა კანონმდებლობის სისტემატურ ახსნა-განმარტებას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენების, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების საქმიანობის შესახებ მოსახლეობის ინფორმაციის გაუმჯობესებას.

საბჭოთა ადამიანი თავისი ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონია, იგი უაღრესად არის დაინტერესებული ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცებით. ადამიანის და განსაკუთრებით ახალგაზრდა ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბება მარტო ჩვენი სკოლის, კომკავშირის, შრომითი კოლექტივის ამოცანა როდია. ეს ოჯახის ამოცანაც არის. აუცილებელი არ არის იყო პედაგოგი, რათა გიგო, რომ ქალიშვილისა თუ ვაბუკისათვის არ არის უფრო დამაჯერებელი და უფრო ზეაფიო მაგალითი, ვიდრე მშობლების, უფროსი ამხანაგების შრომა, ყოფაქცევა, ცხოვრების წესი. ამ ნაკლოვანად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეში უნდა ჩაებას თვითეული მოქალაქე.

საბჭოების ქვეყნის მოქალაქეს ჩამოყალიბების განუყოფელი ნაწილია მისი აღზრდა ინტერნაციონალიზმის, ყველა ერისა და ეროვნების შრომელთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის სულისკვეთებით. სოციალიზმმა ახლებურად აიაღერა თვით ცნება პატრიოტიზმისა, მტკიცედ დაკავშირა იგი პროლეტარულ ინტერნაციონალიზმთან. გაიგლის ერთი წელი, და ჩვენ ვიზეიმებთ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს. მთელი სიდიადით კვლავ გამოჩნდება ლენინის პარტიის მიერ შეკავშირებული ყველა საბჭოთა ერისა და ეროვნების ურღვევი სოციალური და იდეურ-პოლიტიკური ერთიანობა. სოციალიზმის ბრძოლაში იშვა ისტორიაში არნახული, შესანიშნავი და მტკიცე შენადნობი, სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ახალი სოციალური ერთობა — საბჭოთა ხალხი. საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ძმური კავშირი, ჩვენი თანამეგობრობა სხვა სოციალისტურ სახელმწიფოთა ხალხებთან მთელი კაცობრიობის დიდი მომავლის პირველსახეა.

ნ. ვ. პოდგორნი შეეხო საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ძირითად საკითხებს, ილაპარაკა მის ძირითად მიმართულებებზე, რომლებიც განსაზღვრეს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებმა, პარტიისა და სახელმწიფოს ბაზის განხორციელების კეთილნაყოფიერ შედეგებზე. უკანასკნელი წლები აღინიშნა სოციალისტური თანამეგობრობის შემდგომი განმტკიცებით, საერთაშორისო მუშაობა, კომუნისტური და ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტივობის, პროგრესული, რევოლუციური ძალების შეკავშირების გაძლიერებით. სოციალიზმის, დემოკრატიისა და მშვიდობის ძალებმა განამტკიცეს თავიანთი პოზიციები, კიდევ უფრო შეავიწროვეს ჩაგრის, აგრესიისა და მილიტარიზმის ძალები.

მაგრამ ბრძოლა იმპერიალიზმის, რეაქციული წრეების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ მსოფლიოს რევოლუციურ განახლებას, კვლავ რთული და დაძაბულია. საბჭოთა ადამიანები, მსოფლიო საზოგადოებრიობა, ისევე როგორც წინათ, მთავარ ყურადღებას უთმობენ მდგომარეობას ევროპის კონტინენტზე. და ამას თავისი ღრმა მიზეზები აქვს. რამდენიმე დღის შემდეგ ხელმოწერდება ოცდაათი წელი საბჭოთა კავშირზე ჰიტლერული გერმანიის მუხანათური თავდასხმიდან, რაც მისი სრული განადგურებით დამთავრდა. მაგრამ დღემდე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ზოგ ვინმეს სწყურია რევანში. არიან ევროპისგარეშე ძალებიც, რომლებიც აფერხებენ კონტინენტის საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგებას. ეს კვლავ მოგვაგონა ნატოს საბჭოს ლისაბონის სესიაზე. ცნობილია, რა თქმა უნდა, რომ ჩრდილოატლანტიკურ ბლოკში ვლინდება მისი მონაწილეების თვალსაზრისისა და პოზიციების ერთგვარი განსხვავება. ისინი იძულებული იყვნენ გამოხმაურებოდნენ საბჭოთა კავშირის ახალ ინიციატივას. ამავე დროს გარკვეული წრეები ცდილობენ გააკეთონონ ევროპის აქტუალური პრობლემების გადაჭრა.

ჩვენს ქვეყანას მიაჩნია, რომ ევროპის ყველა საკითხი შეიძლება გადაიჭრას და კიდევ უნდა გადაიჭრას პარალელურად, ეს, რომ ისინი ერთმანეთს არ დაუკავშირონ. ჩვენ თანმიმდევრულად ვიღწვით დაძაბულობის შენელებისათვის, ევროპაში არსებული ტერიტორიული სტატუს-კვოს განმტკიცებისათვის. ამას ხელს შეუწყობდა უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილი სრულიად ევროპის თათბირის მოწყობა. სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების პოზიცია, რომლებმაც წამოაყენეს მისი მოწვევის იდეა, ნათელი და გარკვეულია — დროა ზოგადი მსჯელობებიდან ოქის თათბირზე, თუ რა სარგებლობას მოგვიტანს თათბირი, გადავიდეთ მის აქტიურ მომზადებაზე.

ნ. ვ. პოდგორნიმ დაწვრილებით დაახასიათა მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში, ილაპარაკა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ამასწინანდელი მოგზაურობის შედეგების შესახებ.

მას შემდეგ, რაც 1967 წელს ჩაიფუშა იმპერიალისტური, რეაქციული წრეების გეგმები — მოესპოთ მოწინავე არაბული რეჟიმები ისრაელის პირდაპირი აგრესიის გზით, ამ წრეებს ხელი არ აუღიათ თავიანთ მისწრაფებაზე — ხელი შეუშალონ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ისევე როგორც სხვა არაბული სახელმწიფოების ხალხებს, იარონ პროგრესისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გზით. ისინი მიმართავენ ათასგვარ ხერხებს იმავე ანგარებითი, ანტიხალხური მიზნების მისაღწევად, კვლავ დაუფარავად ყოველმხრივ უშერენ მხარს ისრაელ ექსპანსიონისტებს.

იმპერიალისტები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ძირი გამოუთხარონ არაბული სახელმწიფოების დამოუკიდებლობის უმნიშვნელოვანეს ბურჯს — საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრულ ურთიერთობას. მაგრამ არაბი ხალხების, სსრ კავშირის, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების აქტიური წინააღმდეგობა ფუშავს იმპერიალისტურ ხრიკებს.

პრეზიდენტ ა. სადათთან და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებთან კაიროში გამართულმა საუბრებმა კვლავ დაადასტურეს ორივე მხარის მისწრაფება კვლავაც განამტკიცონ საბჭოთა კავშირ-არაბეთის მეგობრობა, გააღრმავონ თანამშრომლობა პოლიტიკურ, ეკონომიურ, თავდაცვითსა და სხვა დარგებში. სსრ კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ურთიერთობაში დაება ახალი ეტაპი, რასაც თვალსაჩინოდ მოწმობს მათ შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადება. იგი ასახავს ანტიიმპერიალისტურ საფუძველზე მსოფლიო სოციალიზმისა და ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალების დაახლოების სულ უფრო მზარდ პროცესს. ხელშეკრულება მოიწონეს საბჭოთა და ეგვიპტელმა ხალხებმა, მან ფართო საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია, ემსახურება დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის არაბული ქვეყნების ბრძოლის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, კანონიერი უფლებებისა დაცვისათვის ხალხთა ბრძოლის ინტერესებს, საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლის ინტერესებს, და ამით ემსახურება საბჭოთა ქვეყნის მიზნებსა და მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას.

საბჭოთა კავშირის წარმატებანი საერთაშორისო ასპარეზზე, — აღნიშნა ნ. ვ. პოდგორნიმ, — ეს არის ჩვენი საგარეო პოლიტიკის აქტივობა, რომელიც განმტკიცებულია საბჭოთა ადამიანების შრომითი წარმატებებით. იმით, რომ ყოველი ღონისძიებით განამტკიცებს რა თავის ქვეყანას, წარმატებით ეწევა კომუნისტური მშენებლობას, ჩვენი ხალხი ასრულებს თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას. ამასთან დაკავშირებით მან ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდ მუშაობას ეწევიან საბჭოთა დიპლომატები, სავაჭრო, ეკონომიურ წარმომადგენლობათა მუშაკები, იმ დიდ მნიშვნელოვან წვლილზე, რომელიც შეაქვთ საზღვარგარეთ მყოფ ჩვენს ინჟინრებსა და მუშებს, ექიმებს, მასწავლებლებს სოციალისტური და განვითარებადი ქვეყნების ხალხებთან საბჭოთა ხალხის მეგობრობის განმტკიცების საქმეში, მათი ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში.

თავისი სიტყვის დასასრულს ნ. ვ. პოდგორნიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორი მსოფლიო საზოგადოებრივი სისტემის პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე უბანი დღეს არის დემოკრატიის პრობლემები. ჩვენი პარტია, თქვა ორატორმა, ილაშქრებდა და ილაშქრებს იმპერიალიზმის იდეოლოგთა იმ ცდების წინააღმდეგ, რომ დააკნინონ სოციალისტური დემოკრატიის პროგრესული ზემოქმედება, საბჭოთა ადამიანი დაუპირისპირონ მის ხელისწიფოს, ძირი გამოუთხარონ სოციალისტური ქვეყნების ძმურ კავშირს. ჩვენ გადაჭრით ვამხილებდით და კვლავაც ვამხილებთ ოპორტუნისტულ და რევიზიონისტულ იდეებს ეგრეთწოდებული „წმინდა“, არაკლასობრივი დემოკრატიის შესახებ. ჩვენს იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეებს არ მოსწონთ, რომ დემოკრატიის განვითარებას ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია, რომ სწორედ იგი შედგენს ხელისუფლების ბირთვს სოციალიზმის დროს, არის მისი პოლიტიკური სისტემის მთავარი რგოლი. საბჭოთა ადამიანებისათვის საკითხი ჩვენი პარტიის როლის შესახებ ნათელია— ნამდვილი დემოკრატია შეუძლებელი და წარმოუდგენელია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის გარეშე.

ნ. ვ. პოდგორნიმ ერთხელ კიდევ მთელი სულითა და გულით გადაუსადა მადლობა დედაქალაქის ლენინგრადის რაიონის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებს, ყველა მშრომელს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებისათვის და თქვა, რომ დეპუტატის საქმიანობა მარტო დიდი პატივი როდია, ეს არის საპატიო და რთული მოვალეობა, რომლის გამართლებასაც იგი შეეცდება თავისი საქმეებით, მთელი თავისი მუშაობით.

ამხანაგ ნ. ვ. პოდგორნის გამოსვლა დამსწრეთ მოისმინეს დიდი ყურადღებით. მისი სიტყვის დროს არაერთხელ გაისმოდა ტაში.

ქალაქ მოსკოვის ლენინგრადის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებას ესწრებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი. (საკდესი).

მთავრობის ჯილდოების გადაცემა

ვანი, 10 ივნისი. (საქდესი). გუშინ დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი ვანის კულტურის სახლში. რაიონის წარჩინებული ადამიანებისათვის მთავრობის ჯილდოების გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე მოვიდნენ პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკები, ვანის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

კრება გახსნა პარტიის ვანის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. ყიფიანმა.

ვანის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის მდივანმა ს. ბუხრენინაძემ წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება იმის შესახებ, რომ 54 კაცი დაჯილდოებულია ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, მედლებით. კრება გახსნა პარტიის წყალტუბოს რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. ფაშაძემ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება წაიკითხა წყალტუბოს რაიონის მშრომელთა დეპუტატების აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. ძოწენიძემ, რომელმაც გულთბილად მიულოცა გასული ხუთწლეული გმირებს.

დაჯილდოებულთა სახელით კრებაზე გამოვიდნენ: სამტრედიელი მესიმინდე, 75 წლის ა. ანდრიაძე, რომელიც დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, სამტრედიის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ო. თარაშაძე, სოფელ სალაკაოსის 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობის მებოსტნე ბ. ბაბუა, სოფელ დაბლა გომის კოლმეურნეობის ბრიგადირი უ. მიგინინიშვილი, სოფელ ინანეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორი ბ. ჯავრიშვილი, სამტრედიის სართავი ფაბრიკის მუშა ც. კალაძე და სამტრედიის აბრეშუმსახვევი ფაბრიკის ოსტატი ქ. პატარაია, რომელებმაც პირობა დადეს, რომ დიდი შრომითი მიღწევებით აღნიშნავენ ახალ ხუთწლედს.

ჯიბეენი, 10 ივნისი. (საქდესი). კარგად იმრომეს განვლილ ხუთწლედში ადიგენის რაიონის მშრომელებმა. ბევრი მათგანის შრომა მთავრობის ჯილდოებით აღინიშნა.

მათთვის ორდენებისა და მედლების გადაცემასთან დაკავშირებით დღეს რაიონულ ცენტრში გაიმართა საზეიმო კრება.

კრება გახსნა პარტიის ადიგენის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. მეძეკაბიშვილმა.

ადიგენის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. კასრაშვილმა წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება. სოფლის მეურნეობის 35 მშრომელის მიენიჭა ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენები და მედლები.

მთავრობის მაღალი ჯილდოები რაიონის წარჩინებულ ადამიანებს გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა შ. ჭანჭუშაძემ. მან გულთბილად მიულოცა ამ დღის გმირებს მათი შრომის მაღალი შეფასება და უსურვა არ შეენელებინოთ სამუშაოთა ტემპი ახალ ხუთწლედშიც.

საზეიმო კრებაზე დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ სოფელ ვალეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ხ. კაკაბაძეშვილი, აწყურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი ჰ. სარჯველაძე, ახალციხის კოლმეურნეობის აგრონომის უფროსი ბ. ნახაპეტიანი, წყალთბილის სახელობის მეურნეობის მუშა ა. მაზმანიანი, ახალციხის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის მუშაკი ბ. გელაშვილი. მათ მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას მაღალი ჯილდოსათვის, თქვეს, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში.

ახალციხე, 10 ივნისი. (საქდესი). საზეიმო ვითარება იყო დღეს ამ რაიონულ ცენტრში. აქ მთავრობის ჯილდოები გადაეცა რაიონის 53 მშრომელს, რომლებმაც პირნათლად შეასრულეს მერვე ხუთწლედის პროგრამა.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის ახალციხის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. გრძელიშვილმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება წაიკითხა ახალციხის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ რ. ქენქაძემ.

მთავრობის ჯილდოები — ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენები და მედლები გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა შ. ჭანჭუშაძემ. მან გულთბილად მიულოცა ამ დღის გმირებს მათი შრომის მაღალი შეფასება და უსურვა არ შეენელებინოთ სამუშაოთა ტემპი ახალ ხუთწლედშიც.

საზეიმო კრებაზე დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ სოფელ ვალეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ხ. კაკაბაძეშვილი, აწყურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი ჰ. სარჯველაძე, ახალციხის კოლმეურნეობის აგრონომის უფროსი ბ. ნახაპეტიანი, წყალთბილის სახელობის მეურნეობის მუშა ა. მაზმანიანი, ახალციხის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის მუშაკი ბ. გელაშვილი. მათ მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას მაღალი ჯილდოსათვის, თქვეს, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში.

სამტრედია, 10 ივნისი. (საქდესი). პარტიის სამტრედიის რაიკომის საადგილო დარბაზში გუშინ შეიკრიბნენ რაიონის მოწინავე ადამიანები, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკები, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. აქ მთავრობის ჯილდოები გადასცეს რაიონის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მშრომელებს.

საზეიმო კრება გახსნა პარტიის სამტრედიის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ბერძენიშვილმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება შეკრებილთა გააცნო სამტრედიის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. მანჯგალაძემ.

ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენები და მედლები გადასცა სამტრედიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბ. ძოწენიძემ, რომელმაც გულთბილად მიულოცა გასული ხუთწლედის გმირებს.

დაჯილდოებულთა სახელით კრებაზე გამოვიდნენ: სამტრედიელი მესიმინდე, 75 წლის ა. ანდრიაძე, რომელიც დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, სამტრედიის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ო. თარაშაძე, სოფელ სალაკაოსის 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობის მებოსტნე ბ. ბაბუა, სოფელ დაბლა გომის კოლმეურნეობის ბრიგადირი უ. მიგინინიშვილი, სოფელ ინანეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორი ბ. ჯავრიშვილი, სამტრედიის სართავი ფაბრიკის მუშა ც. კალაძე და სამტრედიის აბრეშუმსახვევი ფაბრიკის ოსტატი ქ. პატარაია, რომლებმაც პირობა დადეს, რომ დიდი შრომითი მიღწევებით აღნიშნავენ ახალ ხუთწლედს.

ჯიბეენი, 10 ივნისი. (საქდესი). საზეიმო ვითარება იყო დღეს ამ რაიონულ ცენტრში. აქ მთავრობის ჯილდოები გადაეცა რაიონის 53 მშრომელს, რომლებმაც პირნათლად შეასრულეს მერვე ხუთწლედის პროგრამა.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის ახალციხის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. გრძელიშვილმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება წაიკითხა ახალციხის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ რ. ქენქაძემ.

მთავრობის ჯილდოები — ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენები და მედლები გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა შ. ჭანჭუშაძემ. მან გულთბილად მიულოცა ამ დღის გმირებს მათი შრომის მაღალი შეფასება და უსურვა არ შეენელებინოთ სამუშაოთა ტემპი ახალ ხუთწლედშიც.

საზეიმო კრებაზე დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ სოფელ ვალეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ხ. კაკაბაძეშვილი, აწყურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი ჰ. სარჯველაძე, ახალციხის კოლმეურნეობის აგრონომის უფროსი ბ. ნახაპეტიანი, წყალთბილის სახელობის მეურნეობის მუშა ა. მაზმანიანი, ახალციხის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის მუშაკი ბ. გელაშვილი. მათ მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას მაღალი ჯილდოსათვის, თქვეს, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში.

ადიგენი, 10 ივნისი. (საქდესი). ადიგენის რაიონის ადმინისტრაციის სახლში ადიგენის რაიონის მშრომელებმა დაჯილდოებული ბრიგადირ ოქროპირ ბაბუა ბაბუაშვილი, ოქტომბრის ბრიგადირ ალექსანდრ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲙᲕᲘᲞᲠᲝᲡᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 2-9 ივნისს სსრ კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტი არქიეპისკოპოსი მაკარიოსი. ვიზიტის დამთავრების შემდეგ ხელი მოაწერეს კომუნიკის.

როგორც კომუნიკეში აღნიშნულია, ვიზიტის დროს გაიმართა მოლაპარაკებები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნოსსა და პრეზიდენტ მაკარიოსს შორის.

მოლაპარაკების დროს, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, განხილულს ორმხრივი ურთიერთობის საკითხები, კვიპროსის საკითხი, მდგომარეობა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ რაიონში და სხვა აქტუალური საერთაშორისო პრობლემები.

მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ათი წლის განმავლობაში, რაც კვიპროსის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გავიდა, საბჭოთა კავშირ-კვიპროსის ურთიერთობა განუხრელად ვითარდებოდა მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის სულისკვეთებით. ხორციელდება ნაყოფიერი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის, დამყარდა სასარგებლო პრაქტიკა აზრთა გაზიარების საკითხებზე, რომლებითაც ორივე მხარე დაინტერესებულია. წარმატებით ვითარდება ვრცელდებიან საფუძველზე ორივე მხარისათვის ხელსაყრელი სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა.

მხარეების აზრით, არის შესაძლებლობანი, რომ კიდევ უფრო განვითარდეს მეგობრული თანამშრომლობა სსრ კავშირსა და კვიპროსის რესპუბლიკას შორის, გაფართოვდეს პოლიტიკური კონტაქტები და კონსულტაციები სხვადასხვა დონეზე, აგრეთვე ეკონომიური, კულტურული და სხვა ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და კვიპროსის ხალხთა საკეთილდღეოდ.

საბჭოთა კავშირი, აღნიშნულია შემდეგ კომუნიკეში, გაგებით ეკიდება კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობის კურსს, რომელიც ითვალისწინებს პოლიტიკური და სამხედრო ბლოკებისადმი მიუმხრობლობას, დამოუკიდებელი და სუვერენული კვიპროსის სახელმწიფოს განმტკიცებას, რაც შეესაბამება ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ რაიონსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ამოცანებს.

ორივე მხარემ ხაზი გაუსვა, რომ კვიპროსს, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრს, უფლება აქვს სარგებლობდეს და უნდა სარგებლობდეს სრული სუვერენიტეტით და სრული დამოუკიდებლობით უცხოეთის ყოველგვარი ინტერვენციისა ან რაიმე სხვა ფორმით ჩარევის გარეშე. მხარეები შეთანხმდნენ, რომ კვიპროსის საკითხი მშვიდობიანი გზით უნდა გადაჭრას კვიპროსელმა ხალხმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და რეზოლუციების შესაბამისად. ისინი მოუწოდებენ ყველა სახელმწიფოს პატივი სცენ კვიპროსის რესპუბლიკის სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და ტერიტორიულ მთლიანობას. საბჭოთა მხარემ კვლავ განაცხადა, რომ მტკიცედ და აქტიურად იღვწის იმისათვის, რომ კვიპროსის წინააღმდეგ არ მიმართონ ინტერვენციას, ჩარევას, ძალის გამოყენებას ან მისი გამოყენების მუქარას.

ზემონათქვამის შესაბამისად, საბჭოთა მხარემ გამოთქვა სურვილი, რომ წარმატებით დამთავრდეს ამჟამად კვიპროსში მიმდინარე მოლაპარაკება კვიპროსელ თურქებს შორის, რათა ამ მოლაპარაკებას მოჰყვეს არსებული სადავო საკითხების მოწესრიგება ურთიერთგაგებისა და კეთილი ნების სულისკვეთებით, ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ მთელი კვიპროსელი ხალხის მშვიდობიან ცხოვრებას სახელმწიფოს სრული სუვერენიტეტისა და ერთიანობის საფუძველზე.

საბჭოთა მხარემ დაადასტურა აგრეთვე თანამედროვეული პოზიცია სსრ კავშირისა, რომელიც მოითხოვს უცხოეთის მთელი ჯარების გაყვანას კუნძულის ტერიტორიიდან.

კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კმაყოფილება გამოთქვა სსრ კავშირის პრინციპული პოზიციის გამო კვიპროსის საკითხში და ხაზი გაუსვა მის დიდ მნიშვნელობას კვიპროსელი ხალხის იმ ღონისძიებების მხარდასაჭერად, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს ყოველგვარ ხრიკებს თავს მოახვიონ გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიუღებელია კვიპროსელი ხალხისათვის, ან ძირი გამოუთხარონ კვიპროსის სუვერენიტეტს, ერთიანობასა და ტერიტორიულ მთლიანობას.

საერთაშორისო პრობლემებზე აზრთა ურთიერთ გაზიარებისას აღინიშნა, რომ მხარეთა პოზიციები მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საკითხებში ერთმანეთს უახლოვდება ან ემთხვევა. მხარეებმა განაცხადეს, რომ ისწრაფვიან ხელი შეუწყონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებასა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას.

მხარეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვიზიტი საბჭოთა კავშირში და გამართული მოლაპარაკება ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის მეგობრული თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას.

(საკდესი).

ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲔᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲨᲣᲐ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲠᲐᲘᲜᲓᲔᲑᲘ ᲛᲐᲒᲐᲛ ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲜᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲨᲝᲠᲡ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲘᲛᲓᲠᲝᲠᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲙᲘᲠᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲛᲘᲡᲘᲜᲘ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ

საქართველოს ამბავი — ხალხის

„კომუნისტის“ ფოსტიდან

ლუშეთი. გუდამაყრელებს ეამაყებათ, რომ დიდი სამამულო ომის გმირი სიმონ წიკლაური ჩვენი კუთხიდან იყო, ამიტომაც განსაკუთრებული ინტერესით გავეცანით მ. ნემიროვასა და ე. კალანდაძის წიგნს „ვერმახტის საიდუმლო საქმე“, რომელშიც აღწერილია ქართველი ვაჟკაცების საგმირო საქმეები. გუდამაყრის რვაწლიან სამუალო სკოლაში მოეწყო ამ წიგნის საჯარო განხილვა. მკითხველთა კონფერენციაზე გადავწყვიტეთ გვესახა სიმონ წიკლაურის სახლი სოფელ დიხაშოში.

მალე გმირის სოფლისაკენ გავემგზავრეთ, ექსკურსია-ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღო 60-ზე მეტმა მოსწავლემ. მივდიოდით მიხა საცალფეხო ბილიკებით, გზადაზა ჯარედით ლამაზ ყვავილებს, რათა თაიგულებით შეგვემკო გმირის მშობლიური კარმიდამო.

სოფლის შესასვლელში ყინულივით ცივი წყარო შემოგვეგება, სოლო სოფელში გულთბილი და სტუმართმოყვარე ადამიანები, რომლებიც მზად იყვნენ დაესრულებლად ეამბნათ სიმონ წიკლაურის ბავშვობაზე. მთელმა სოფელმა — დიდმა და პატარამ — ჩვენთან მოიყარა თავი. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ლ. ჯანიაშვილმა დიხჩოელებს ჩვენი იქ მისვლის მიზანი აუწყა, 82 წლის მოხუცმა მიხა წიკლაურმა დაწვრილებით გვიამბო სიმონისა და მისი წინაპრების შესახებ.

თ. ჭიკლაური
გუდამაყრის რვაწლიანი სკოლის მოსწავლე.

ეს მოხდა ოჩამჩირის რაიონის სამშობიარო სახლში. მშობიარე დედა ნ. გ. ჩხენკელი სისხლისაგან იცლებოდა და ძლივსღა სუნთქავდა, როდესაც საოპერაციოში შეიყვანა საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა, ქირურგმა აპოლონ გამსახურდიამ. ჩვილის გადარჩენაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, საჭირო გახდა ზრუნვა ახალგაზრდა დედის სოცოცხლისათვის.

საჭირო ჯგუფის სისხლი ადგილზე არ აღმოჩნდა, საბედნიეროდ, იგი აღმოაჩნდა თვით ქირურგს. ა. გამსახურდიამ დაუყოვნებლივ თავისი სისხლი გაიღო ავადმყოფისათვის. ასე იხსნა ქირურგის მადლიანმა მარჯვენამ და სისხლმა დაღუპვისაგან ახალგაზრდა ქალი.

მ. ბომეაა.

თბილისი. ივრისპირეთში დღითიდღე უმჯობესდება მგზავრთა მომსახურება ავტოტრანსპორტით. ახლა რაიონში ცოტაღა დარჩა ისეთი სოფელი, საავტობუსო მიმოსვლა რომ არ იყოს დაწესებული. ახლახან თიანეთის ავტოსატრანსპორტო საწარმომ მიიღეს ორი სამგზავრო ავტობუსი. ამასთან დაკავშირებით დაწესდა ორი ახალი საავტობუსო მარშრუტი — თიანეთი - თბილისი-რუსთავი და თიანეთი-თელავი-ქვემო ქედი.

ახალი მარშრუტებით უკვე გადაყვანილია ასობით მგზავრი.

თ. აბაიშვილი.

ჯ ი ლ დ ო

მამაცობისა და ვაჟკაცობისათვის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 9 ივნისის ბრძანებულებით სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი მამაცობისა და ვაჟკაცობისათვის სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდნენ: **ორითელი ვარსკვლავის ორდენით** — პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე მაჭარაშვილი-ძე **ბოზიულინი**, უფროსი სერჟანტი ვლადიმერ ალექსის-ძე **ლარიონოვი**, სერჟანტი სერგი სერგის-ძე **პუბილოვი** და ლეიტენანტი დათიკო ვლადიმერის-ძე **თოდუა**; **მედლით „მამაცობისათვის“** — რიგითი ჯარისკაცი მიხეილ ლეონიდეს-ძე **ბულატი** და ეფრეიტორი ილია გრიგოლის-ძე **კოლესნიკი**; **მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“** — რიგითი ჯარისკაცი ევგენი ტიხონის-ძე **ბავრილენკო**, რიგითი ჯარისკაცი ალექსანდრე ევგენის-ძე **ივანოვი** და რიგითი ჯარისკაცი ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე **ხუდინა**.

ეს მოხდა 1971 წლის 9 თებერვალს სახელმწიფო საზღვრის ერთ-ერთი მაღალი მთის უბანზე.

მესაზღვრეთა ჯგუფი პოდპოლკოვნიკ ა. მ. კოზიულინის მეთაურობით ასრულებდა სამსახურებრივ ამოცანას. ამინდი გაფუჭდა. ამოვარდა ქარბუქი და დაიწყო თოვა, რის შედეგად ჩამოწვა ზვავი. რიგითი ჯარისკაცი ევგენი გავრილენკო ზვავმა ხეობაში გადაჩეხა და ზედ თოვლი გადაეფარა. სასწრაფოდ უნდა მიეღოთ ზომები, გადაერჩინათ ჯარისკაცი.

სტიქია აბობოქრდა. აჯარის მცხოვრებლებს უკვე ორმოცდაათი წელია არ უნახავთ ასეთი გრიგალი. საფრთხე სულ უფრო იზრდებოდა. მაგრამ მესაზღვრეებმა უკან არ დაიხიეს. უშიშრად და დაუღალავად, ვაჟკაცურად იბრძოდნენ ამხანაგის გადასარჩენად. ბოლოს იპოვეს თოვლის სქელი ფენით დაფარული და... ძალზე მძიმე მდგომარეობაში.

მესაზღვრეებმა თხილამურებით და ღვედებით საკაცე შეკრეს, ზედ გავრილენკო დააწვინეს და ქარბუქში იკვლევდნენ გზას უახლოესი საგუშაგოსკენ. ორასი მეტრიღა აკლდათ საგუშაგომდე, რომ ისინიც ზვავში მოჰყვნენ.

ყველა მესაზღვრე დაიღუპა, ბოლომდე შეასრულეს თავიანთი მხედრული მოვალეობა.

სამშობლოს უსაზღვრო ერთგულება, ფიცის ერთგულება, მეგობრობისა და მხედრული ამხანაგობის გრძნობა — აი რამ შთააგონა მესაზღვრეებს ეს გმირობა. (საკდისი).

გზა მშვიდობისა!

ვიეტნამელი მოსწავლეები სამშობლოში გაემგზავრნენ

□

— ეს ახალგაზრდები ამ სამი წლის წინათ გავიცანი საბჭოთა კავშირის საზღვარზე, — გვიამბო რუსთაველის № 3 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის პედაგოგმა ავთანდილ ლეკვაკვამ. — მაშინ 46 ვიეტნამელი გოგო და ბიჭი წამოვიყვანე რუსთავში. ბევრი, როგორც შემდეგ გავიგე, პარტიზანული მოძრაობის მონაწილე იყო. თავიანთი თვალით უნახავთ როგორ ანადგურებდნენ, ბომბავდნენ ამერიკელი ბარბაროსები მათს სახლებს, ნათესავებს, სკოლებს, საავადმყოფოებს. ბევრს თვალწინ დაეღუპა ყველაზე ძვირფასი ადამიანები — დედა, მამა, დები, ძმები და დარჩნენ უპატრონოდ.

და აი, ამ ახალგაზრდებს ჩვენმა ქვეყანამ გაუწოდა მეგობრული ხელი, 500-ზე მეტი ახალგაზრდა შეიკრიბა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში გაგზავნა გამოსაჯანმრთელებლად და სასწავლებლად...

...თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქალაქო № 6 საშუალო განათლების პროფტექნიკური სასწავლებლის ეზოში ვიეტნამელი ახალგაზრდები შეკრებილიყვნენ. მათი გაბრწყინებული, ბედნიერი სახეები მრავლისმთქმელი იყო. რუსთავიდან ვიეტნამელი ახალგაზრდები აქ ჩამოვიდნენ თავიანთი მომძღვების სანახავად და გამოსამშვიდობებლად. აქ, ამ სასწავლებელში ხომ 80 ვიეტნამელი ახალგაზრდა სწავლობს. ისინი ორი წელია, რაც ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში იმყოფებიან, სწავლობენ ლითონის ცივად დამუშავებას, ითვისებენ მღარავობას, მხეხავობას, ელექტროშემდუღებლის პროფესიას.

ერთი წლის შემდეგ თბილისელი ვიეტნამელი ახალგაზრდებიც გაემგზავრებიან სამშობლოში, მანამდე კი რამდენი რამ აქვთ დასაბარებელი, სამშობლოში თავიანთი ახლობლებისათვის გადასაცემი.

ჩამოსულებიც და დამხვდურებიც ერთმანეთს გულმხურვალედ ეხვეოდნენ, ეშვიდობებოდნენ. ავთანდილ ლეკვაკვამ თავიანთი სასწავლებლის უკვე კურსდამთავრებული, კომკავშირის კომიტეტის მდივანი დან თე ნიემი გაგვაცნო.

— რას გვეტყვი საქართველოში გატარებული დღეების შესახებ, როგორ ცხოვრობდით აქ, კმაყოფილი ხართ თუ არა სასწავლებლით, — შევეკითხე ვიეტნამელ ახალგაზრდას.

— მინდა ჩემი თანამომძეების სახელით უდიდესი მადლობა გადავუხადო საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას იმ დიდი მზრუნველობისათვის, რომელიც ჩვენს მიმართ გამოიჩინეს. ჩვენ ბევრი სიძნელე გამოვიარეთ სამშობლოში, უმეტესობა იმ რაიონებიდან ვართ, სადაც ომის ხანძარი მძვინვარებდა. რუსთავში ჩამოგვიყვანეს თუ არა, გაძლიერებულ კვებაზე გადაგვიყვანეს, დაგვასვენეს. ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ რუსულ ენას, საბჭოთა კავშირის ისტორიას და საერთოდ ზოგადსაგანმანათლებლო კურსს გავდიოდით. მომდევნო ორ წელს კი სპეციალურ საგნებს ვსწავლობდით.

შინაარსიანად გავატარეთ სამი წელი. ამოგზაურობდით საბჭოთა კავშირის ქალაქებში, ვიყავით მოსკოვში, ლენინგრადში, დავთვალიერეთ ამ ქალაქების ღირსშესანიშნაობანი, არდადეგების დღეებში ვისვენებდით საქართველოს საუკეთესო კურორტებზე. სიტყვები არ მყოფნის მადლობის გამოსახატავად. არასოდეს არ დაგვავიწყდება საქართველოში გატარებული დღეები.

ამაღელვებელი იყო ვიეტნამელი ახალგაზრდების გამომშვიდობება. ავტობუსში ჩასხდნენ რუსთაველან ჩამოსული სტუმრები, დამხვდურები დიდხანს გაჰყურებდნენ სამშობლოში მიმავალთ. ბედნიერი მგზავრობა, ძვირფასო ძმებო!

ლ. ხუგულური.

• • •

სურათზე: ვიეტნამელ ახალგაზრდათა ერთი ჯგუფი.

ფოტო ს. ბილაძისა.

ჩვენი სტუმრები

თბილისში ჩამოვიდა უნგრეთის სახალხო კონტროლის კომიტეტის დელეგაცია

10 ივნისს თბილისში ჩამოვიდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ცენტრალური კომისიის დელეგაცია. იგი საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობის გასაცნობად.

დელეგაციის მეთაურობს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ცენტრალური კომისიის თავმჯდომარე დიულა დაბრონაი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეკონომიური პოლიტიკის განყოფილების სექტორის გამგე ლასლო ბალაი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ცენტრალური კომისიის სამდივნოს გამგე დიერდ აცელი, სახალხო კონტროლის ცენტრალური კომისიის მშენებლობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე ფერენც ჩეპენსკი, ქალაქ ბუდაპეშტის სახალხო კონტროლის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ლასლო ზარა, ბორშოდის ოლქის სახალხო კონტროლის კომისიის თავმჯდომარე იშტვან ნეგი. დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს მრჩეველი ზოლტან მაკლარი.

საბჭოთა კავშირში მოგზაურობისას უნგრელ კოლეგებს ახლავს სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ტარასოვი, ა. ტიხონოვი, ა. ბელოვი, ა. ბორისოვი, ა. ბოგდანოვი, ა. ბოგოლიუბოვი, ა. ბოლოტნიკოვი, ა. ბოლოტოვი, ა. ბორ